ოქმი N 7

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 28 მარტი 2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. აკაკი ხურცილავა
3. გიორგი გვასალია
4. გივი ლატარია
5. ლელა ადანაია
6. მზია ლემონჯარია
7. გოჩა ქაჯაია
8. ია ჯიშკარიანი
9. ნინო ბოკუჩავა
10. მაკა ჩარტია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ. იოსავას 2023 წლის 28 თებერვლის წერილის განხილვა (დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე)
   (მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N2 საჯარო სკოლის დირექტორის ც. ცხადაიას 2023 წლის 22 მარტის N10/51230812-51 წერილის განხილვა.
   (მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

3. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 21 მარტის COV 22300008535 წერილის განხილვა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის №6 და №9 დადგენილებების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე
   (მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ. იოსავას 2023 წლის 28 თებერვლის წერილის განხილვა (დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე)

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, საკრებულოს წევრის მ. იოსავას ინიციატივა დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე (მ. იოსავას წერილი ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ განცხადებაში 17 პუნქტად არის გამოყოფილი აღმასრულებელი ორგანოს მიმართ კითხვები, რომლის დასმაც საკრებულოს წევრს მ. იოსავას შეუძლია როგორც საკრებულოს სხდომაზე ასევე მერიის შესაბამის სამსახურებზე წერილობით მიმართვის საფუძველზე. განცხადებაში არ არის საკმარისად დასაბუთებული დროებით სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობა.

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი; ლ. ადანაია და ნ. ბოკუჩავა მხარი დაუჭირეს მ. იოსავას ინიციატივას სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება მ. იოსავას განცხადების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3, წინააღმდეგი - 7

დაადგინეს: კომისიის მხრიდან უარი ეთქვას საკრებულოს წევრს მ. იოსავას დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, რაზედაც ეცნობოს საკრებულოს ბიუროს.

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N2 საჯარო სკოლის დირექტორის ც. ცხადაიას 2023 წლის 22 მარტის N10/51230812-51 წერილის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N2 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სამეურვეო საბჭოს ინიციატივა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N2 საჯარო სკოლისთვის სახელის შეცვლის შესახებ. „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 აგვისტოს N13 დადგენილების თანახმად, ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის გაყოფის შედეგად შუა ქვალონი ჩამოყალიბდა ცალკე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად. ზემო აღნიშნულის გამო სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სკოლის სახელწოდების ცვლილება და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარი სკოლა"
საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით სახელდებასთან დაკავშირებული ინიციატივა, სამეურვეო საბჭოს მიერ წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე მიზანშეწონილია მომზადდეს განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N2 საჯარო სკოლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" და განმარტებით ბარათთან ერთად ინიციირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: **10** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: განკარგულების პროექტი: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N2 საჯარო სკოლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" განმარტებით ბარათთან ერთად ინიცირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს.

3. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 21 მარტის COV 22300008535 წერილის განხილვა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის №6 და №9 დადგენილებების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის წერილი და განაცხადა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების თანახმად, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №14 დადგენილებაში უნდა განხორციელდეს იმ ცვლილებების ასახვა, რომელიც შეეხება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობას, საკრებულოს პირველ სხდომასთან დაკავშირებულ პროცედურებს და განსახილველ საკითხებს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების ვალდებულებას საკრებულოს კომისიებში გაწევრიანების თაობაზე.

ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების მიმართ განხორციელდა სამართლებრივი ექსპერტიზა. იურიდიული დეპარტამენტის რეკომენდაციით დადგენილებაში განხორციელებული ცვლილება სრულად არ შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტს. საკანონმდებლო ნორმა შეიცავს იმპერატიულ დანაწესს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულო ნორმატიული აქტით ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს. კოდექსი საკრებულოს უდგენს საკანონმდებლო საფუძველს განსაზღვროს იმ დანახარჯების ანაზღაურების წესი, რასაც საკრებულოს წევრი გაიღებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება უკავშირდება ის გონივრული მატერიალური ხარჯი, რომლის გაწევაც საკრებულოს წევრს მოუხდა წარმომადგენლობით ორგანოში წევრობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას. შესაბამისად, დაუშვებელია საკრებულოს წევრს ასანაზღაურებელ ხარჯად ჩაეთვალოს და შეუფასდეს ის ვალდებულება, რომელიც მას კანონმდებლობით უსასყიდლოდ ეკისრება, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს.

რეკომენდაციის საფუძველზე კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი "ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ" რომელის თანახმადაც საკრებულოს წევრს შესაძლებელია აუნაზღაურდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (საკრებულოს სხდომებზე დასწრება, საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება, საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა, ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების

განხილვა, ანგარიშის საჯარო განხილვა) განხორციელებასთან დაკავშირებით გაღებული სხვადასხვა ხარჯი, რომელიც საკრებულოს წევრს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვიურად აუნაზღაურდება. საკრებულოს წევრი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული სხვადასხვა ხარჯის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს საკრებულოს აპარატის უფროს ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებთან და ამომრჩევლებთან შეხვედრის საოქმო ჩანაწერთან ერთად.

ზემო აღნიშნული ცვლილებების ასახვის მიზნით კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი: "ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხოლო დადგენილების პროექტი "ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ" განმარტებით ბარათთან ერთად გადაეგზავნება საქართველოს მთავრობის იურიდიულ დეპარტამენტს სამართლებრივი კონსულტაციისთვის.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განმარტებით ბარათთან ერთად ინიციირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით. ხოლო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ" განმარტებით ბარათთან ერთად გადაეგზავნოს საქართველოს მთავრობის იურიდიულ დეპარტამენტს სამართლებრივი კონსულტაციისთვის.

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შეიცვალა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებული რეგულაციები. ცვლილების თანახმად

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისია საკრებულოს წარუდგენს წინადადებას საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ხოლო საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა ხდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ საბოლოო შემაჯამებელი ოქმის შედეგების საფუძველზე.

რის საფუძველზეც მიზანშეწონილია ინიციირების წესით დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განმარტებით ბარათთან ერთად ინიციირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი